შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	MSc Program in Management
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0203
ქართულად:	მენეჯმენტის მაგისტრი
ინგლისურად:	Master in Management
პროგრამის დამტკიცების თარიღი	16 მაისი, 2011
პროგრამის განახლების თარიღი	18 იანვარი, 2019
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ასოცირებული პროფესორი ნინო ანდრიაძე; ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი კახა შენგელია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 9 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვნების პერიოდი. აკადემიური წელი მოიცავს სამ სემესტრს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში მოიცავს სავალდებული და არჩევით სასწავლო კომპონენტს 90 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელთაგანაც 85 ECTS კრედიტი არის სავალდებულო,

ხოლო 5 ECTS კრედიტი ეკუთვნის არჩევითი ბლოკის 3 სასწავლო კურსს და 30 ECTS კრედიტის მოცულობის კვლევით კომპონენტს.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, ქეისის ანალიზი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის B ტიპის ტესტის წარმატებით ჩაბარება.
- კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სპეციფიკასთან რელევანტური მისაღები გამოცდის წარმატებით გავლა (მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად და ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს; ინდივიდი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი)
- კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში მიზნებია სტუდენტს: Obj.1 შესძინოს დარგის თეორიული ცოდნა და შეასწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების გზები და ამით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; Obj.2 განუვითაროს მმართველობითი უნარები თანამედროვე კონკურენციისა და ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, რამდენადაც ნებისმიერი სფეროს წარმატება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიულ მომზადებასა და შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების ადეკვატურ ცოდნაზე; Obj.3 განუვითაროს მენეჯმენტის სპეციალისტისთვის სავალდებულო უნარები, რომლითაც ნათლად შეაფასებს ინდივიდის როლს მენეჯერულ საქმიანობაში როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით. Obj.4 ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას; Obj.5 გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები და განუმტკიცოს მოქალაქეობრივი ღირებულებები. პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ორგანიზაციისა და მისი სხვადასხვა ფუნქციური რგოლების მართვის კონცეფციების გააზრება-შესწავლაზე და ამავდროულად, მათ პრაქტიკაში გამოყენებაზე, ისე, რომ დაცული იყოს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები. ამასთან, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადი მართვის, ასევე ორგანიზაციაში ფუნქციური არეებისა და სისტემების წარმატებულ გაძღოლაზე.
პროგრამის სწავლის შედეგები	თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის პროფესიულ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე. პროგრამით მიღებული განათლება წარმოადგენს წარმატების საფუძველს შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს კურსდამთავრებულს ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებია კურსდამთავრებულმა: P.L.O.1. მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში; P.L.O.2. განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვისა და წარმატებულ ლიდერობის პოლიტიკა; P.L.O.3. გააანალიზოს და დაგეგმოს ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციური არეები, P.L.O.4. მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური პროექტებისა და ბიზნეს

	წამოწყებების დაგეგმვა-მართვაში; P.L.O.5. გამოიმუშავოს ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარები; P.L.O.6. გამოიმუშავოს როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები; P.L.O.7. მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონსტრირება; P.L.O.8. მონაწილეობა მიიღოს ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.
დასაქმების სფეროები	კავკასიის ბიზნესის სკოლის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში კურსდამთავრებულები იკავებენ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის პოზიციებს, როგორც კერძო, ისე საჯარო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება ბიზნესის ნებისმიერ სექტორში ხდება: ➢ საბანკო ინდუსტრია ➢ სადაზღვევო ინდუსტრია ➢ ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია ➢ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია ➢ სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია ➢ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები ➢ არასამთავრობო სექტორი და ა.შ. კურსდამთავრებულები იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს როგორიცაა: კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი; ანალიტიკური სამსახურის მენეჯერი; ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; წარმოების და ოპერაციათა მართვის მენეჯერი; პროექტის მართვის მენეჯერი და სხვა. უნივერსტეტის კარიერული განვითარების ცენტრის ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული ყოველწლიური კვლევებით დასტურდება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა 100 პროცენტი დასაქმებულია. კურსდამთავრებულებზე მაღალი ხარისხობრივი შეფასებებია მიღებული დამსაქმებლების მხრიდან. პროგრამის კურსდამთავრებულთა ცოდნა და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე მეტყველებს.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე დოქტორანტურაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.
შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატების მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი
- გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი
- სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საბიბლიოთეკო რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დანიშნულების და დახურული ტიპის სტრუქტურული ერთეული; აქ დაცულია ქართული და უცხოური, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ეს ნაწილი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად.

ბიბლიოთეკაში არსებობს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე, როგორებიცაა:

- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding(Funding Institutional)
- Taylor And Francis Online
- EBSCOHost Elit package:
    - Academic Search Elite
    - International Security & Counter Terrorism Reference Center
    - Business Source Elite
    - Regional Business News
    - ERIC
    - MasterFILE Elite
    - Library, Information Science & Technology Abstracts
    - AHFS Consumer Medication Information

ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსები:

საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა). არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია რვა კომპიუტერული კლასი, რომლებიც პერსონალური კომპიუტერებით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Nortel"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი/აქტივობა	I წელი			II წელი			ჯამი
				ECTS კრედიტი						
				I	II	III	IV	V	VI	
სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	MSC 5120		სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის	5						5
2.	MSC 5111		ორგანიზაციული ქცევა	5						5
3.	MSC 5112		მარკეტინგის მენეჯმენტი	5						5
4.	MSC 5512		მენეჯერული ხარჯების აღრიცხვა	5						5
5.	MSC 5113	MSC 5512	ფინანსები მენეჯერებისთვის		5					5
6.	RSCH 5210	MSC 5120	კვლევის მეთოდოლოგია		5					5
7.	MSC 5310	MSC 5120	სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტი		5					5
8.	MSC 5311		მეწარმეობა		5					5
9.	MSC 5611		ექსპორტის მენეჯმენტი			5				5
10.	MSC 5213		პროექტის მენეჯმენტი			5				5
11.	MSC 5413	MSC 5111	მოლაპარაკების წარმოების მეთოდები			5				5
12.	MSC 5412	MSC 5111	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი			5				5
13.	MSC 5214	MSC 5310	სტრატეგიული მენეჯმენტი				5			5
14.	MSC 5612		ცვლილების დაგეგმვა და მართვა				5			5
15.	MSC 5613		მენეჯმენტ კონსალტინგი				5			5
16.	MSC 5511		სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში				5			5
17.	MSC 5614	MSC5412	დამსაქმებლის ბრენდის განვითარება					5		5
სასწავლო კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (სტუდენტმა მეხუთე სემესტრში უნდა აირჩიოს ქვევით ჩამოთვლილის სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი)										
18.	MSC 5414	MSC 5310	ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი					5		5
	MSC 5615		ქცევის მეცნიერება							
	MSC 5215		აკადემიური წერა							
კვლევითი კომპონენტი										
19.	THES 5513		სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა						30	30
			სემესტრში	20	20	20	20	10	30	
			წელიწადში	60			60			120

მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები / პროგრამის სწავლის შედეგები	Obj.1 შესძინოს დარგის თეორიული ცოდნა და შეესწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების გზები და ამით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;	Obj.2 განუვითაროს მმართველობითი უნარები თანამედროვე კონკურენციისა და ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, რამდენადაც ნებისმიერი სფეროს წარმატება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიულ მომზადებასა და შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების ადეკვატურ ცოდნაზე;	Obj.3 განუვითაროს მენეჯმენტის სპეციალისტისთვის სავალდებულო უნარები, რომლითაც ნათლად შეეფასებს ინდივიდის როლს მენეჯერულ საქმიანობაში როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით.	Obj.4 ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას;	Obj.5 გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები და განუმტკიცოს მოქალაქეობრივი ღირებულებები.
P.L.O.1. მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში	**დაბალი**	**მაღალი**	**საშუალო**[1]	**მაღალი**	**დაბალი**[2]

[1] პროგრამის მიზნების ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **საშუალო**
[2] პროგრამის მიზნების ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **დაბალი**

P.L.O.2. განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვისა და წარმატებულ ლიდერობის პოლიტიკა	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	დაბალი
P.L.O.3. გააანალიზოს და დაგეგმოს ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციური არეები	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	დაბალი
P.L.O.4. მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური პროექტებისა და ბიზნეს წამოწყებების დაგეგმვა-მართვაში	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	დაბალი
P.L.O.5 გამოიმუშავოს ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარები	საშუალო	მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
P.L.O.6. გამოიმუშავოს როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები	საშუალო	მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
P.L.O.7. მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონსტრირება	საშუალო	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
P.L.O.8. მონაწილეობა მიიღოს ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.	დაბალი	დაბალი	მაღალი	საშუალო	მაღალი

სწავლის შედეგების რუკა

სემესტრი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	პროგრამის სწავლის შედეგები							
		P.L.O.1. მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;	P.L.O.2. განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვისა და წარმატებულ ლიდერობის პოლიტიკა;	P.L.O.3. გაანალიზოს და დაგეგმოს ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციური არეები,	P.L.O.4. მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური პროექტებისა და ბიზნეს წამოწყებების დაგეგმვა-მართვაში;	P.L.O.5. გამოიმუშავოს ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარები;	P.L.O.6. გამოიმუშავოს როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები;	P.L.O.7. მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონსტრირება;	P.L.O.8. მონაწილეობა მიიღოს ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.
	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი								
I	სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის		დაბალი		საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო
I	ორგანიზაციული ქცევა	მაღალი	საშუალო	მაღალი		მაღალი	საშუალო	მაღალი	მაღალი
I	მარკეტინგის მენეჯმენტი	მაღალი	დაბალი	საშუალო	მაღალი	საშუალო	მაღალი	მაღალი	საშუალო
I	მენეჯერული ხარჯების აღრიცხვა	მაღალი			დაბალი	მაღალი	საშუალო		დაბალი

II	ფინანსები მენეჯერებისთვის	მაღალი	დაბალი	საშუალო	დაბალი	მაღალი	საშუალო		დაბალი
II	კვლევის მეთოდოლოგია				მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო
II	სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტი	მაღალი		საშუალო	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
II	მეწარმეობა	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
III	ექსპორტის მენეჯმენტი		დაბალი	საშუალო	საშუალო			მაღალი	საშუალო
III	პროექტის მენეჯმენტი	მაღალი		საშუალო	მაღალი	მაღალი		მაღალი	საშუალო
III	მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	დაბალი		დაბალი	მაღალი			საშუალო	დაბალი
III	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	დაბალი	მაღალი	მაღალი			საშუალო	მაღალი	მაღალი
IV	სტრატეგიული მენეჯმენტი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო	მაღალი	მაღალი
IV	ცვლილების დაგეგმვა და მართვა	მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი		მაღალი	მაღალი
IV	მენეჯმენტ კონსალტინგი	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო
IV	სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში					დაბალი	საშუალო	მაღალი	საშუალო
V	დამსაქმებლის ბრენდის განვითარება		მაღალი	მაღალი			მაღალი		საშუალო

საგანმანათლებლო პროგრამის
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
აზა ჭანტურია	პროფესორი	კვლევის მეთოდოლოგია
ანა მესხი	პროფესორი	აკადემიური წერა
გვანცა მელაძე	მოწვეული ლექტორი	ექსპორტის მენეჯმენტი
თინათინ მაღრაძე	მოწვეული ლექტორი	ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი
გიორგი ნატროშვილი	პროფესორი	მენეჯერული ხარჯების აღრიცხვა
არჩილ გომიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	ფინანსები მენეჯერებისთვის
დავით კაპანაძე	პროფესორი	სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის
ელენე ჯღარკავა	ასოცირებული პროფესორი	მარკეტინგის მენეჯმენტი
თამარ ლაბარტყავა	მოწვეული ლექტორი	სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტი
თინათინ ჯანაშვილი	მოწვეული ლექტორი	დამსაქმებლის ბრენდის განვითარება
კახა შენგელია	პროფესორი	სტრატეგიული მენეჯმენტი
რუსუდან ჩაჩანიძე	მოწვეული ლექტორი	სტრატეგიული მენეჯმენტი
ლილი ბიბილაშვილი	მოწვეული ლექტორი	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
ნიკოლოზ ფარჯანაძე	მოწვეული ლექტორი	სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში
ნინო ანდრიაძე	ასოცირებული პროფესორი	მეწარმეობა
		ცვლილების დაგეგმვა და მართვა
		ქცევის მეცნიერება
პაატა ბრეკაშვილი	პროფესორი	ორგანიზაციული ქცევა
		მოლაპარაკების წარმოების მეთოდები
ფიქრია ბასილიძე	მოწვეული ლექტორი	პროექტის მენეჯმენტი
შოთა მურცხვალაძე	მოწვეული ლექტორი	მენეჯმენტ კონსალტინგი